

ვილა ანგარანი მასპინძლობს უნივერსალური საჯარო სამსახურის მოხალისეებს

დაიწყო! დიდი ენთუზიაზმით ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის (ALDA) გუნდმა ვილა ანგარანში უმასპინძლა პროექტის "გაავრცელე ევროპის დემოკრატია" (LED) ფარგლებში შერჩეულ მოხალისეებს, რომლებიც შეუერთდებიან ასოციაციას მომდევნო თვეებში.

2022 წლის 11 ივლისიდან, ორშაბათიდან, დაწყებული ცხრა ახალგაზრდა, ახალდამთავრებული სტუდენტები ესწრებიან ორკვირიან სიღრმისეულ ტრენინგს სხვადასხვა აქტივობების თემაზე და ამასთანავე ხვდებიან ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის კოლეგებს.

ზოგადი პერსპექტივიდან, წლევეანდელი პროექტი, რომელიც შემუშავდა კრემონას მუნიციპალიტეტთან ერთად, იტალიური "უნივერსალური საჯარო სამსახურის" პროგრამის ფარგლებში, ფოკუსირებულია ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობაზე. მოხალისეები თვალყურს ადევნებენ, თუ როგორ გადაიქცევა პროექტის ზოგადი მიზანი ასოციაციის ყოველდღიურ საქმიანობად.

ვილა ანგარანი ახლა მასპინძლობს სიღრმისეულ ტრენინგებს საჯარო სამსახურის მოხალისეებისთვის

ტრენინგები, რომლებიც ახლა ტარდება ვილა ანგარანის მშვიდ და ლამაზ გარემოში ბასანო დელ გრაპაში (იტალია), საშუალებას აძლევს მონაწილეებს გაიგონ მეტი შემდეგ თემებზე:

- მონაწილეობითი პროცესები;
- პროექტის წერის ეტაპები;
- როგორ ხდება კომუნიკაცია და ინფორმაციის გავრცელება;
- ლოგისტიკური მხარე პროექტების შეხვედრების ორგანიზების თემაზე;
- ფინანსური დაგეგმარება.

მცირე სამუშაო ჯგუფებად დაყოფილი პროექტის "გაავრცელე ევროპის დემოკრატია" (LED) მოხალისეები აქტიურად მონაწილეობენ ტრენინგებში: მუშაობენ კომუნიკაციის გეგმისა თუ ღონისძიების ბიუჯეტის შედგენის საკითხებზე.

აქტივობები კიდევ ერთი კვირა გაგრძელდება, შემდეგ პროექტის მოხალისეები ესტუმრებიან ALDA-ს ოფისებს ბრიუსელში, სტრასბურგსა და სკოპიეში.